

წარმოგიდგენთ პროკურატურის მიერ მოწოდებულ შენიშვნებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შუალედურ ანგარიშთან დაკავშირებით. პროკურატურის შენიშვნების ნაწილი, რომლებიც შეეხებოდა ტექსტში არსებულ ტექნიკურ უზუსტობებს, გაზიარებულ იქნა და შესწორებები უშუალოდ ანგარიშის ტექსტში იქნა შეტანილი. სხვა დანარჩენ შენიშვნებს კი უცვლელად გთავაზობთ.

პროკურატურის კომენტარები შუალედური ანგარიშის ზოგად ტენდენციებთან მიმართებაში პროკურატურა აცხადებს, რომ მათ მიერ სასამართლოში წარმოდგენილ მოწმეთა მხრიდან ჩვენების შეცვლის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

კომენტარები ბაჩანა ახალაიას საქმეზე

1. სენაკის ეპიზოდი

1.3 საქმეში არსებული მტკიცებულებები/მოწმეთა ჩვენებები:

პროკურატურის მიიჩნევს ტექსტი, რომელიც შეეხება დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ ყველა მოწმეს, არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან ამ მოწმეთაგან (30) 14-მა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ არაფერი იცოდა და მათი ჩვენებები მხოლოდ ბრალდებულთა დახასიათებებს მოიცავდა.

2. ვაზიანის ეპიზოდი

2.3 საქმეში არსებული მტკიცებულებები/ მოწმეთა ჩვენებები:

პროკურატურამ განმარტა, რომ 2011 წლის 25 ოქტომბერს ბაჩანა ახალაიამ სამხედრო მოსამსახურეები დაიბარა თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ მის კაბინეტში, სადაც დაზარალებულ სამხედრო მოსამსახურეს მინისტრი ფიზიკურად გაუსწორდა.

პროკურატურა მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საქმის აღწერილობას დაემატოს შემდეგი გარემოებები:

დაზარალებული შ.ბ. შეიყვანეს მინისტრის კაბინეტში, სადაც ახალაიამ მას თავში დანის ბლაგვი მხარე ჩაარტყა. აღნიშნულის შემდეგ მას ფიზიკურად გაუსწორდა გ. კალანდაძე და კაბინეტში მყოფი კიდევ ერთი პირი, ხოლო სიტყვიერ შეურაცხყოფას მას განუწყვეტლივ აყენებდნენ, როგორც მინისტრი, ასევე ყველა იქ მყოფი. შემდეგ მინისტრის კაბინეტში შეიყვანეს დაზარალებული ბ.გ., რომელიც ასევე შეურაცხყვეს, როგორც სიტყვიერად, ისე ფიზიკურად. ამ ყველაფერს შეესწრო მინისტრის კაბინეტში მყოფი დაზარალებული შ.ბ. შემდეგ დაზარალებული ბ.გ. მინისტრის კაბინეტიდან გამოიყვანა და თავდაცვის სამინისტროს .ე.წ. „პლატცზე“ ფიზიკურად და სიტყვიერად შეურაცხყო სახმელეთო ჯარების მთავარმა სერჟანტმა ალ. გორგამემ. პარალელურად მინისტრის კაბინეტში სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ოფიცრებს - დ.ბ.-ს და ნ.ქ.-ს. აღნიშნულის შემდეგ, დაზარალებულები გადაყვანილ იქნენ ვაზიანის მე-4 ბრიგადაში, სადაც სიტყვიერად შეურაცხყვეს ყველა მათგანი, ხოლო შ.ბ.-ს, ნ.ქ.-ს, დ.ბ.-ს მიმართ განხორციელდა ფიზიკური ანგარიშსწორება.

აღნიშნულ მოწმეთა ჩვენებები გაბათილებულ იქნა სასამართლოში დაკითხული სხვა მოწმეთა ჩვენებებით, რომელთაც განაცხადეს, რომ დაზარალებულებისათვის მინისტრის კაბინეტში შეურაცხყოფის მიყენების მომენტში რეალურად არცერთი მათგანი (მრჩევლები და კ. ბუცხრიკიძე) იქ არ იმყოფებოდა. ასევე, ისინი არ იმყოფებოდნენ ვაზიანის ბრიგადაში, როდესაც დაზარალებულების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება განხორციელდა. აღნიშნულის გარდა, აღსანიშნავია, რომ მრჩევლის ლ.ც.-ს ჩვენება წინააღმდეგობაში მოვიდა თავად ბრალდებულ ბ.ახალაიას ჩვენებასთან. კერძოდ, ლ.ც.-ს განმარტებით, ბ. ახალაიას მიერ დაზარალებულისათვის დანის ბლაგვი მხარის ჩარტყმა სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან მინისტრის ოთახის ინვენტარს იგი შესანიშნავად იცნობდა და მას საკანცელარიო დანაც კი არ ჰქონდა ოთახში. ამასთან, ბ. ახალაიას ჩვენებით, მას კაბინეტში ჰქონდა სპეციალური კუთხე, სადაც მრავლად ინახავდა საჩუქრად მირთმეულ სხვადასხვა ზომის დანებს, ხანჯლებს და ხმლებს.

ჩვენი პოზიცია: ჩვენი მიზანი არ ყოფილა საქმის დეტალური აღწერა, გამომდინარე აქედან მიგვაჩნია, რომ ანგარიშში მოცემული გარემოებები იძლევა საკმარის სურათს პროკურატურის შენიშვნების გათვალისწინების გარეშეც.

3.აბესაძის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ეპიზოდი

3.3 საქმეში არსებული მტკიცებულებები/ მოწმეთა ჩვენებები:

გ.ბ.-ს ჩვენებასთან დაკავშირებით პროკურატურა თვლის, რომ ანგარიშს უნდა დაემატოს შემდეგი გარემოებები:

მოწმე გ.ბ.-მ აბესაძესთან მომდევნო შეხვედრის თაობაზე ასევე განაცხადა შემდეგი: 1) მას აბესაძე ეკითხებოდა, თუ როდის გადაუკვეთა გზა გ.კალანდაძეს, ან რას ერჩოდა

მას. 2) მან აბესადისაგან ასევე შეიტყო, რომ ამ უკანასკნელსა და კალანდაძეს შორის მოხდა კონფლიქტი. 3) მისი თქმით, როდესაც მან აბესაძე მიიყვანა რესტორან „მასპინძლო“-ში, კალანდაძესა და აბესაძეს შორის მაშინვე დაიწყო სიტყვიერი შელაპარაკება.

პროკურატურა ასევე მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია ანგარიშში მიეთითოს შემდეგი გარემოებები:

ზურაბ აბესაძის ჩვენების თანახმად მან წინასწარვე იცოდა, რომ ტელეფონზე გაგა მკურნალადეს ესაუბრებოდა, მისივე ჩვენების თანახმად, რესტორანში მიყვანამდე მას ტელეფონით რამოდენიმეჯერ დაუკავშირდა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა გ. კალანდაძემ.

სასამართლოზე აბესაძემ განმარტა, რომ კალანდაძემ და ჭაკუამ ხელეზგაკავებული სცემეს და ახალაიამ კი იარაღის ტარი ჩაარტყა. შემდეგ ახალაიამ უბრძანა მკურნალიძეს წაეყვანათ აბესაძე და ჩაეკეტათ. ცოტა ხანში მკურნალიძეს გ. კალანდაძემ გაუმეორა გაცემული ბრძანება.

პროკურატურა მიიჩნევს, რომ ანგარიშს უნდა დაემატოს შემდეგი გარემოება:

პროკურორის კითხვას, თუ რა სახის ზეწოლა განიცადა, მკურნალიძემ პასუხი ვერ გასცა. ასევე მან აჩვენა, რომ განცხადება, რომლითაც მან მიმართა გამოძიებას დამატებითი დაკითხვის მოთხოვნით, მის მიერ ნებაყოფლობით იყო შედგენილი, რასაც ადვოკატიც ესწრებოდა. ასევე ადვოკატი ესწრებოდა მის მიერ განცხადების დაწერის შემდეგ მიცემულ ყველა ჩვენების ჩამორთმევას (რა დროსაც მან დეტალურად ამხილა როგორც ახალაია ისე ყველა ბრალდებული ჩადენილ დანაშაულში).

7. ჩენი დაკვირვება

ანგარიშში დაფიქსირებულია, რომ პროკურატურის სამმა ძირითადმა მოწმემ ჩვენებები შეცვალეს.

პროკურატურა მიიჩნევს, რომ ანგარიშში მოხსენიებული ფაქტი იმის შესახებ, რომ ბაჩანა ახალაიას დაცვის სამმა წევრმა უარყო ბაჩანა ახალაიასა და სხვა ბრალდებულების მიერ ჯარისკაცებისთვის სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი არ შეესაბამება სინამდვილეს. პროკურატურის განმარტებით ბრალდების მხარემ სასამართლოზე წარადგინა 93 მოწმე და გამოქვეყნებულ იქნა ერთი მოწმის ჩვენება. პროკურატურის განცხადებით, ბრალდების მხარის მიერ სასამართლოზე წარდგენილი მოწმეების მხრიდან ჩვენების შეცვლის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

საქმე #2

რეინჯერის კურსის საქმე

1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი.

პროკურატურის შენიშვნების თანახმად ბაჩანა ახალაიას ბრალი ედებოდა საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბ და გ ქვეპუნქტები, 25, 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა, ბ, დ, ე, ვ ქვეპუნქტები და 25-144-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა, ბ, დ, ე, ვ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში. ასევე ანგარიშში არ ყოფილა ნახსენები სხვა ბრალდებულების შესახებ ინფორმაცია. პროკურატურა მიიჩნევს, რომ ბრალდებული პირებისა და მათთვის წაყენებული ბრალი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მამუკა აბაშიძე - საქართველოს სსკ-ის 25,144-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა,ბ,დ,ე,ვ ქვეპუნქტებით და 25,144-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა,ბ,დ,ე,ვ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულები.

დავით გიორგაშვილი - საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა, ბ, დ, ე, ვ ქვეპუნქტებით, 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა, ბ, დ, ე, ვ ქვეპუნქტებით და 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის ა, გ და ე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულები.

დავით ვეკუა - საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა,ბ,დ,ე,ვ ქვეპუნქტებით და 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა,ბ,დ, ე, ვ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულები.

ალექსი დავითაშვილი - საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა, ბ, დ, ე, ვ ქვეპუნქტებით, 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა, ბ, დ, ე, ვ ქვეპუნქტებით და 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის ა, გ და ე ქვეპუნქტებით, ასევე სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულები.

ვლადიმერ ზანგიევა - საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა, ბ, დ, ე, ვ ქვეპუნქტებით, 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა, ბ, დ, ე, ვ ქვეპუნქტებით და სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის ა, გ და ე ქვეპუნქტებით, ასევე 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულები.

რობერტ სუთიძე - საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა, ბ, დ, ე, ვ ქვეპუნქტებით, 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა, ბ, დ, ე, ვ ქვეპუნქტებით და 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის ა, გ და ე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულები.

დავით ჩუბინიძე - საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა, ბ, დ, ე, ვ ქვეპუნქტებით და 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა, ბ, დ, ე, ვ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულები.

ჩვენი პოზიცია: ვიზიარებთ ბაჩანა ახალაიას ბრალთან დაკავშირებით პროკურატურის შენიშვნას, თუმცა სხვა ბრალდებულთან მიმართებაში გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ანგარიშის მიზანი იყო მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირების საქმეთა აღწერა, სწორედ ამიტომ არ მოხდა ანგარიშში სხვა ბრალდებული პირების ბრალის აღნიშვნა.

3. საქმეში არსებული მტკიცებულებები/ მოწმეთა ჩვენებები:

პროკურატურა აღნიშნავს, რომ ბაჩანა ახალაიას განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ რეინჯერის კურსის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი ინახებოდა შს სამინისტროში, თუმცა პროკურატურას შეგნებულად არ ითხოვდა მას, მცდარია. პროკურატურის განმარტებით, შს სამინისტროში რეინჯერთა სასწავლო კურსის შესახებ დოკუმენტი არ არსებობს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ოპერაციების ცენტრის სპეციალური ღონისძიებების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მინდია წიკლაურის 2013 წლის 19 მარტის წერილის თანახმად, „2012 წლის 19 აგვისტოდან 21 სექტემბრამდე სპეციალური ოპერაციების ცენტრის საბრძოლო მომზადების (იალლუჯას) ცენტრის ტერიტორიაზე განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის პირველი სამმართველოს 45 თანამშრომელთან (სამხედრო მოსამსახურესთან) მიმდინარე სწავლების პროგრამის შემუშავებაში, საბრძოლო მომზადების ცენტრს, კურსის მომზადების მსვლელობაში თეორიული და პრაქტიკული მონაწილეობა არ მიუღია და აღნიშნული პროგრამის შინაარსი სპეციალური ოპერაციების ცენტრისათვის უცნობია.“

ამით დასტურდება, რომ 2012 წლის 19 აგვისტოდან 21 სექტემბრამდე სპეციალური ოპერაციების ცენტრის საბრძოლო მომზადების (იალლუჯას) ცენტრის ტერიტორიაზე განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის პირველი სამმართველოს 45 თანამშრომელთან მიმდინარე სწავლებასთან დაკავშირებით არც რეინჯერების და არც სხვა სახის პროგრამა არ დამტკიცებულა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბაჩანა ახალაიას 2012 წლის 19 აგვისტოს №1105974 ბრძანებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სპეციალური ოპერაციების ცენტრში სპეციალური საბრძოლო მომზადების კურსზე გაგზავნის შესახებ შს სამინისტროს ადმინისტრაციის საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის კადრების მთავარი სამმართველოს განკარგულებაში აყვანილი 45 მოსამსახურე, მათ შორის დაზარალებულები: პოლიციის კაპიტანი მამუკა მიხეილის ძე ჟვანია, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი დავით ალექსის ძე ბაგრატაშვილი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი თეიმურაზ როსტომის ძე ფალავანდიშვილი, პოლიციის ლეიტენანტი ზაზა თეიმურაზის ძე ფანცქალაშვილი, პოლიციის რიგითი არსენ ვლადიმერის ძე მკრტუმიანი, პოლიციის სერჟანტი სამველ ბაზოიანი, პოლიციის სერჟანტი მიხეილ ტარიელის ძე ედიშერაშვილი 2012 წლის 19 აგვისტოდან 2012 წლის 19 სექტემბრამდე გაგზავნილ იქნენ შს სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის საბრძოლო მომზადების ცენტრში სპეციალური საბრძოლო მომზადების კურსზე.

ამავე ბრძანებით კურსის ჩატარების ორგანიზება დაევალა შს სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრს და ბრძანებაში „რეინჯერების“ კურსი ნახსენები არ არის.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის (J-1) პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, პოლკოვნიკ ალექსანდრე ხომტარიას 2013 წლის 31 იანვრის №1/1-1587 (№187595 01/02-2013) წერილის თანახმად: კაპრალი ალექსი ლუხუმის ძე დავითაშვილი, რიგითი რობერტ ფრიდონის ძე სუთიძე, კაპრალი დავით ზურაბის ძე გიორგაშვილი, რიგითი ვლადიმერ ლერის ძე ზანგიევა 2012 წლის 26 ივლისიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნილები იყვნენ „სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 თანახმად, ხელახალ გაწვევამდე (2012 წლის 08 ოქტომბრამდე) და დასახელებული პირები 2012 წლის 08 ოქტომბრიდან ირიცხებიან საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში. რაც ადასტურებს, რომ ბრალდებულები ალექსი დავითაშვილი, რობერტ სუთიძე, დავით გიორგაშვილი და ვლადიმერ ზანგიევა 2012 წლის 19 აგვისტოდან 21 სექტემბრამდე პერიოდში სამოქალაქო პირები იყვნენ და უკანონოდ აიყვანეს შს სამინისტროს იაღლუჯას სასწავლო ცენტრში როგორც ინსტრუქტორები.

პროკურატურა მიიჩნევს, რომ ანგარიშში ცალმხრივად არის გადმოცემული დაცვის მხარის მოწმეების: ყ.გ.-ს, კ. გ.-ს, გ .ქ.-ს და ზ.წ.-ს ჩვენებები. პროკურატურის თანახმად, მიზანშეწონილია ანგარიშში აგრეთვე აღინიშნოს პროცესზე დასმულ პროკურორის შეკითხვებზე მოწმეთა მიერ გაცემული პასუხები. კერძოდ:

1. მათი თქმით შს სამინისტროს სისტემაში რეინჯერების კურსი არ არსებობს და არც არასდროს გაუგონიათ შს სამინისტროში რეინჯერების პროგრამის დამტკიცების შესახებ. ასევე, მათი განცხადებით, რეინჯერების პროგრამის დამტკიცების გარეშე შვიდი დაზარალებულის ან სხვა შსს-ს თანამშრომლების ამ კურსის ფარგლებში მომზადება დაუშვებელი იყო.

2. მათ აგრეთვე განაცხადეს, რომ რეინჯერების პროგრამაში, რომელიც არსებობდა თავდაცვის სამინისტროში არ შედის: ხის ტოტის (ჯოხის) უკანა ტანში გაკეთება, ჯოხის ან ჯაჭვის გამოყენებით ცემა - წამება, ქამრის ან თოკის კისერზე გამობმა და გათრევა, გინება და ოჯახის წევრთა მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარა, დამცირება, ცოცხზე გადასმა და რბენინება, რასაც ადგილი ჰქონდა დაზარალებულთა მიმართ.

ასევე, პროკურატურა მიიჩნევს, რომ ანგარიშში მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ საქმეზე დაკითხული 32 მოწმის ჩვენების თანახმად, დადგენილია, რომ ბაჩანა ახალაიამ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე თანამშრომლები მიიყვანა „იაღლუჯაზე“ მდებარე შს სამინისტროს სპეცოპერაციების სასწავლო ცენტრში და ისინი სხვა თანამშრომლების წინაშე სამაგალითოდ დასაჯა.

პროკურატურა ასევე მიუთითებს, რომ დაზარალებულები თურქეთის რესპუბლიკაში დასვენება-რეაბილიტაციის მიზნით მომხდარი ფაქტიდან 45 დღის შემდეგ გაგზავნეს. ექიმების განმარტებით ჭრილობები მათ ორ-სამ კვირაში მოუშუშდათ. დაზარალებულებს მ. ჟ.-სა და ა.მ.-ს მიღებული აქვთ სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანებები, თუმცა წამების, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის დროს სხეულის დაზიანების ხარისხის არსებობა აუცილებელი არ არის.

საქმის მასალებში ნათლად არის მითითებული და მოწმეთა ჩვენებებიც ამას ადასტურებს, რომ იაღლეუჯას ბაზიდან ჩამოყვანის დროს, ე.ი. 2012 წლის 21 სექტემბერს დაზარალებულებს სხეულის დაზიანებები მოშუშებული ჰქონდათ, თუმცა შვიდივეს ჰქონდა ფსიქოლოგიური პრობლემები, რის გამოც ისინი გაუშვეს ანტალიაში დასვენება-რეაბილიტაციისთვის.

ჩვენი პოზიცია: მიგვაჩნია, რომ ანგარიშში მოცემული საქმის აღწერა და საქმეში არსებული მტკიცებულებების აღწერა სავსებით საკმარისია, რათა მკითხველს ზოგადი წარმოდგენა შეექმნას როგორც საქმის გარემოებებზე, ასევე საქმეში არსებული მტკიცებულებებზე. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ პროკურატურის მიერ შემოთავაზებული დამატებითი დეტალების ანგარიშში შეტანის აუცილებლობა არ არის.

4. პროცესის მიმდინარეობა

ანგარიშში აღნიშნულია, რომ ერთ ერთ დაზარალებულს ხელის გულზე ეწერა სხვა დაზარალებული პირების სახელები და გვარები. პროკურატურა მიიჩნევს, რომ საქართველოს სსკ-ის 115-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, დაკითხვისას მოწმეს შეუძლია გამოიყენოს დოკუმენტი, ჩანაწერი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.

შესაბამისად ის ფაქტი, რომ მოწმეს ხელის გულზე ეწერა დაზარალებულების სახელები და გვარები პროცესუალური დარღვევა არ არის. ასევე, ჩვენი მოსაზრებით, ხსენებული ქმედება იმთავითვე ეჭვქვეშ არ აყენებს მოწმის მიერ მიცემული ჩვენების სანდოობას, ვინაიდან შესაძლოა პირმა ზუსტად აღწეროს მომხდარი ფაქტი და ამოიცნოს გარკვეული პირები, თუმცა, მათი ზუსტი სახელები და გვარები ვერ გაიხსენოს სხვადასხვა მიზეზით. მოცემულ შემთხვევაში, მოწმე სრულიად თავისუფალი იყო მისი ნების გამოვლინებაში და მან არჩია მსგავსი სახით ჩანაწერის გამოყენება (შესაძლოა მომხდარი ფაქტების უფრო დეტალურად გადმოცემის სურვილით, რაც თავის მხრივ არ გულისხმობს მის მიერ მიცემული ჩვენების არასანდოობას). მოცემულ შემთხვევაში, პროკურატურა ვერ შეზღუდავდა ხსენებულ პირს მსგავსი ქმედების განხორციელებაში და ამ შემთხვევაში პროკურატურა არ უნდა იყოს ნეგატიურ კონტექსტში წარმოდგენილი.

ჩვენი პოზიცია:

ანგარიშში აღწერილია მხოლოდ და მხოლოდ მომხდარი ფაქტი. ჩვენ არ შეგვიფასებია ჩანაწერის შეტანის კანონიერების საკითხი. თუმცა თავად ფაქტი რომ ერთ ერთი მოწმეს ინფორმაცია ხელის გულზე ჰქონდა დაწერილი და პროცესზე ამ ფორმით შეიტანა შენიშვნები, მოწმის მიმართ უნდობლობის გრძნობას წარმოქმნის.

კომენტარები გიგი უგულავასა და დავით კეზერაშვილის საქმეზე

1. ტელეკომპანია იმედის კაზოდი

1.1 ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი:

პროკურატურის შენიშვნის თანახმად, ბრალდების ნაწილში ანგარიშს უნდა დაემატოს შემდეგი ინფორმაცია. ბრალდებულებს ბრალი ასევე წაყენათ სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით. (მითვისება)

1.2 რაში გამოიხატებოდა ქმედება პროკურატურის ბრალდების თანახმად

პროკურატურას მიაჩნია, რომ ანგარიშში მოყვანილ ბრალდების აღწერილობაში არ არის ასახული ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი. შესაბამისად, ანგარიშის აღნიშნული ნაწილი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს გ. უგულავას მიმართ წარდგენილი ბრალდების შესაბამისად, შემდეგი სახით:

2008 წლის დეკემბერში დავით კეზერაშვილი შეხვდა ტელეკომპანიის დამფუძნებლის, კერძოდ, ს/ს „ი-მედია“ აქტივების საკონტროლო პაკეტის მფლობელს ჯოზეფ კეის და, როგორც იმჟამინდელ ხელისუფლებასა და სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებთან ახლო ურთიერთობაში მყოფმა, მუქარით დაიყოლია იგი შპს „ტელეიმედის“ დათმობაზე.

დავით კეზერაშვილი ჯოზეფ კეის დაჰპირდა ტელეკომპანიის ფუნქციონირებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, რის გამოც ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად, ეს უკანასკნელი მეორე დღეს ქალაქ თბილისის მერიის შენობაში დაიბარა და შესაბამისად, გარიგების ანალოგიური პირობები, მათ შორის, დანახარჯის - 10 მლნ აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება დაუდასტურა გიორგი უგულავამ.

გიორგი უგულავას მითითებით, 2008 წლის 17 დეკემბერს, ჯოზეფ კეიმ დააფუძნა შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“ და იმავე დღეს, მის სახელზე დაარეგისტრირა შპს „ტელეიმედში“ ს/ს „ი-მედია“ წილი, რომელიც მან 2008 წლის 22 დეკემბერს, გადააფორმა დავით კეზერაშვილის კონტროლს დაქვემდებარებული, პანამაში რეგისტრირებული კომპანია „BOREX LIMITED“-ზე.

დანაშაულებრივი გეგმის სისრულეში მოსაყვანად, გიორგი უგულავა და დავით კეზერაშვილი მოელაპარაკნენ შპს „ახალი რიყის“ მესაკუთრეებს დავით იაკობაშვილსა და შპს „ჯი-ემ-სი ჰოლდინგის“ წარმომადგენლებს, რომ ქალაქ თბილისის მერია, თითქოსდა, 17 მლნ აშშ დოლარად გამოისყიდდა მათ მიერ 2006 წლის 6 ივნისს, აუქციონზე 7 მლნ აშშ დოლარად შეძენილ რიყის ტერიტორიას, ხოლო სინამდვილეში ნამეტი, ბიუჯეტის კუთვნილი 10 მლნ აშშ დოლარი თვალთმაქცური

ოპერაციით უკან დაუბრუნდებოდათ, რითაც გამიზნული ჰქონდათ ჯოზეფ კეისათვის შეპირებული თანხის გასტუმრება.

2008 წლის 29 დეკემბერს გიორგი უგულავამ, ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით გამოსცა №25.01.869 დადგენილება შპს „ახალი რიყისათვის“ მიყიდული ტერიტორიის გამოსყიდვის მიზნით „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდში“ ცენტრალური ბიუჯეტიდან სპეციალური ტრანსფერის სახით გამოყოფილი 25 მლნ ლარის გადარიცხვის შესახებ. ეტაპობრივად, 2008 წლის 30 დეკემბერს და 2009 წლის 02 თებერვალს, აღნიშნული ფონდიდან 17 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტური 28 309 000 ლარი ჩაირიცხა შპს „ახალი რიყის“ ანგარიშზე, საიდანაც 10 მლნ აშშ დოლარი წარმოადგენდა გიორგი უგულავასა და დავით კეზერაშვილის მიერ მითვისებულ თანხას.

დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ლეგალიზაციის, ანუ, მისი ნამდვილი ბუნების შენიღბვის მიზნით, გიორგი უგულავასა და დავით კეზერაშვილის ორგანიზებით, გამოძიებით დაუდგენელმა პირმა დაამზადა ფიქციური ხელშეკრულება დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებულ ჯოზეფ კეის კომპანია „LAKEBROW LIMITED“-სა და შპს „ახალი რიყის“ შორის, მმართველობითი და ოპერაციული მომსახურების გაწევის თაობაზე, რომელიც ამ უკანასკნელის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს სახით ითვალისწინებდა 10 მლნ აშშ დოლარის გადახდას. შესაბამისად, მოჩვენებითი ვალდებულებების ვითომდა დარღვევის გამო, 2009 წლის 12 თებერვალს, შპს „ახალი რიყის“ დირექტორმა, 10 მლნ აშშ დოლარიდან კანონით განსაზღვრული გადასახადის გადახდის შემდეგ დარჩენილი 8 811 189 აშშ დოლარი გადარიცხა ჯოზეფ კეის მიერ მითითებული კომპანიის ანგარიშზე.

1.3 საქმეში არსებული მტკიცებულებები

მტკიცებულებად მოხსენიებულია მხოლოდ ჯოზეფ კეის ორი ჩვენება და არაფერია ნათქვამი სხვა მტკიცებულებებზე (სატელეფონო ზარების ნუსხა, კონტროლის პალატის შემოწმების აქტი, სასაქონლო ექსპერტიზა, შპს „ახალი რიყის“ თანამშრომელთა ჩვენებები, ტელევიზიის თანამშრომელთა ჩვენებები, „რაკინის“ თანამშრომელთა ჩვენებები).

ჩვენი პოზიცია: წაყენებული ბრალის აღწერის ნაწილში შენიშვნას ვიზიარებთ, სხვა დანარჩენთან მიმართებაში ვთვლით, რომ ანგარიშში მოცემული გარემოებები იძლევა საკმარის სურათს პროკურატურის შენიშვნების გათვალისწინების გარეშე მკითხველს წარმოადგენა შეექმნას საქმის არსზე. პროკურატურის მიერ მოცემული დეტალები არ ცვლის და არ ეწინააღმდეგება ანგარიშში მოყვანილ საქმის აღწერილობასა და პროკურატურის მიერ საქმის წარმოების შესახებ ინფორმაციას.

კომენტარები ნიკა გვარამიას საქმეზე

1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი

პროკურატურა მიიჩნევს, რომ ბრალდებული პირებისადმი წაყენებული ბრალის ფორმულირება შედეგნაირად უნდა განხორციელდეს:

ნიკა გვარამია - საქართველოს სისხლის სამართლი კოდექსის 25-ე, 338-ე მუხლის, მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი.

ყალბი საგადასახადო ისეთი დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით და გამოყენება, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდი, ჩადენილი ჯგუფურად - საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

კახაბერ დამენია - წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქრთამის აღებაში დახმარება, საქართველოს სსკ-ის 25, 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი და მესამე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება - საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

ყალბი საგადასახადო ისეთი დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით და გამოყენება, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდი, ჩადენილი ჯგუფურად - საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით და გამოყენება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი - საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

დევი კანდელაკი - „ხრამჭესი 1“-ის, ხრამჭესი 2-ის, მტკვარი ენერგეტიკას გენერალური დირექტორი.

ჯგუფურად ყალბი საგადასახადო ისეთი დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით და გამოყენება, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდი - საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით და გამოყენება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი - საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში დახმარება, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება - საქართველოს სსკ-ის 25,194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

ქრთამის მიცემა - საქართველოს სსკ-ის 339-ე მუხლის პირველი ნაწილი.

აშოტ მანუკიანი - სს „თელასი“-ს გენერალური დირექტორი.

ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით და გამოყენება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი - საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში დახმარება, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება - 25,194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

ქრთამის მიცემა - საქართველოს სსკ-ის 339-ე მუხლის პირველი ნაწილი.

იზაბელა გუტიძე - „გუტიძე, დამენია, ჩანტლაძე სოლუშენს“-ის დირექტორი.

ჯგუფურად ყალბი საგადასახადო ისეთი დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით და გამოყენება, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდი - საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით და გამოყენება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი - საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

განსაკუთრებით მძიმე და სსკ-ის 339-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის დაფარვა წინასწარ შეუპირებლად - საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლი.

გიორგი ნემისწვერიძე - შ.პ.ს „ელ ენდ ევ სერვისის“-ს დამფუძნებელი და დირექტორი ცრუ მეწარმეობა - საქართველოს სსკ-ის 193-ე მუხლი.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქრთამის აღებაში დახმარება - საქართველოს სსკ-ის 25, 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი და მესამე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში დახმარება, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება - საქართველოს სსკ-ის 25,194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

ყალბი საგადასახადო ისეთი დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით და გამოყენება, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდი, ჯგუფურად - საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით და გამოყენება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი - საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

3. საქმეში არსებული მტკიცებულებები/მოწმეთა ჩვენებები:

პროკურატურა მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია ანგარიშს დაემატოს შემდეგი შინაარსის ტექსტი:

მოწმებმა, მათ შორის შემოსავლების სამსახურის ყოფილმა უფროსმა ასევე დაადასტურეს, რომ მათთვის ზემოაღნიშნულ ოთხ კომპანიას ან მათი სახელით სხვა რომელიმე კომპანიას, საგადასახადო შეთანხმების გაფორმების მიზნით განცხადებით ან რაიმე წინადადებით არ მიუმართავთ, ასევე დაადასტურეს რომ დასახელებულ კომპანიებთან საგადასახადო შეთანხმების გაფორმების მიზნით მათთან წინასწარი კონსულტაცია არ გაუვლიათ და რომ ესეთი პროცედურა საერთოდ არ არსებობს.

აღნიშნული მიუთითებს, რომ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული მომსახურების (რაც შემდგომში აისახა კიდევ საწარმოთა შორის მიღება-ჩაბარების აქტებში) დიდი ნაწილი არ შესრულებულა დამკვეთისათვის.

ფაქტების სრულად აღწერის მიზნით, მიზანშეწონილია ანგარიშს მონიშნული ადგილის ქვემოთ დაემატოს შემდეგი შინაარსის ტექსტი:

სასამართლოში მოწმედ დაკითხულმა სამმა ექსპერტმა დაადასტურა, რომ შ.პ.ს „ელ ენდ ევ სერვისის“-ს მიერ შესრულებული „ინტერ რაო ევს“-ის აქტივების კონსოლიდაციის დასკვნა მცირედი განსხვავებებით იდენტურია აუდიტორული კომპანია „ფრანსვოთერჰაუსკუპერსის“ 2012 წლის 19 მარტის „ინტერ რაო ევს“-ის შვილობილი კომპანიების რესტრუქტურის ანალიზისა. შ.პ.ს „ელ ენდ ევ სერვისის“-ს დასკვნაში დამატებით განხილულია მხოლოდ „ხრამჭესი 1“-ის, ხრამჭესი

2-ის, მტკვარი ენერჯეტიკას“ ზოგადი ინფორმაცია, რომლის შესრულების საბაზრო ღირებულებაც არ აღემატება 3000 ლარს.

გარდა აღნიშნულისა, სასამართლო პროცესზე დაკითხულმა სს „თელასი“-ს გარკვეულმა თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ საწარმოს ცენტრალური შესყიდვის ორგანოს სხდომის ოქმი, რომელიც დათარიღებულია 2012 წლის 26 ივლისით (სხდომის დაწყების დრო 15:00) და სადაც თითქოსდა განხილულია შ.პ.ს „ელ ენდ ევ სერვისისგან“ საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის საკითხი, რეალურად შედგენილია ოქტომბერში, გენერალური დირექტორის ა.მანუკიანის უშუალო დავალებით. სინამდვილეში კი, მითითებულ თარიღში ჩატარებულ სხდომაზე შ.პ.ს „ელ ენდ ევ სერვისისგან“ მომსახურების შესყიდვის საკითხი არ განხილულა. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ საწარმო დაფუძნებულია 2012 წლის 26 ივლისის 16:56 წუთზე, მაშინ როდესაც სს „თელასი“-ს ცენტრალური შესყიდვის ორგანოს სდომა ჩატარებულია ამავე დღეს 15:00 საათზე, ანუ საწარმოს დაფუძნებამდე 2 საათით ადრე. დასახელებულ სხდომაზე ვითომდა მიღებული გადაწყვეტილება გახდა საფუძველი „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოსათვის, მიეღო გადაწყვეტილება შ.პ.ს „ელ ენდ ევ სერვისისგან“ მომსახურების შესყიდვაზე. მნიშვნელოვანია ასევე ის გარემოებაც, რომ სს „თელასი“-ს სამეთვალყურეო საბჭოს ერთმა ქართველმა წარმომადგენელმა მოწმის სახით დაკითხვისას განმარტა, რომ მან მხარი დაუჭირა შ.პ.ს „ელ ენდ ევ სერვისისგან“ მომსახურების შესყიდვას, რადგან აღნიშნულზე ა. ხეთაგურისგან მიიღო თანხმობა, ხოლო მეორე წარმომადგენელმა განმარტა, რომ სხდომაში მონაწილეობა არ მიუღია, რადგან საბჭოზე წარდგენილი დოკუმენტები არასაკმარისად მიიჩნია გადაწყვეტილების მისაღებად.

6.განაჩენი

აღნიშნულ საქმეზე მოწმეთა დაკითხვა დასრულებულია.

ჩვენი პოზიცია: ვიზიარებთ ნიკა გვარამიას ბრალთან დაკავშირებით პროკურატურის შენიშვნას, თუმცა სხვა ბრალდებულებთან მიმართებაში გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ანგარიშის მიზანი იყო ყოფილი და ამჟამინდელი მაღალი თანამდებობის პირების საქმეთა აღწერა. მიგვაჩნია, რომ სწორად თანამდებობის პირების საქმეში მონაწილეობა იწვევს მაღალ საჯარო ინტერესს. სწორედ ამ მიზეზით არ მოხდა ანგარიშში სხვა ბრალდებული პირების ბრალის დეტალური აღწერა.

საქმის გარემოებებზე გაკეთებულ შენიშვნებთან დაკავშირებით კი გავნმარტავთ, რომ ჩვენი ანგარიშის მიზანი არ ყოფილა საქმის დეტალური აღწერა. ანგარიშის მიზანი იყო მკითხველისთვის შეექმნა ზოგადი წარმოდგენა საქმის გარემოებების შესახებ. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ანგარიშში მოცემული გარემოებები იძლევა საკმარის სურათს პროკურატურის შენიშვნების გათვალისწინების გარეშეც.

პროკურატურის შენიშვნას იმასთან დაკავშირებით, რომ მოწმეთა დაკითხვა აღნიშნულ საქმეზე დასრულებულია, აღვნიშნავთ, რომ ანგარიშის მომზადების პერიოდში მოწმეთა დაკითხვა დასრულებული არ ყოფილა.